

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 499

ქ. ბათუმი, 31 მაისი 2016 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ.“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 აპრილის №12 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 970,0 ლარის საერთო ღირებულების მქონე 500 ცალი კრამიტი და 400,0 ლარის საერთო ღირებულების მქონე 50,0 კვ.მ. ძვლის ფორმის, მოსაპირკეთებელი ფილა.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

3. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ქონების სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ხელმოწერის უფლება-მოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს - მალხაზ დარჩიას.

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბაგრატ მანველიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ